საჯარო სამართლის იურიდიული პირის
საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის
დირექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030137664638120

№ 12-40/ო **16 / აპრილი / 2020 წ.**

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის რაიონული სამსახურის მენეჯერების მიერ თანამშრომელთა ყოველდღიური თერმოსკრინინგის განხორციელების თაობაზე

„საქართველოს მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადებასთან დაკავშირებით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2020 წლის 21 მარტის N1 დეკრეტისა და „საქართველოში ახალი კორონა ვირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N181 დადგენილების გათვალისწინებით, ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2019 წლის 11 ივნისის N01-50/ნ ბრძანებით, დანართის სახით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ყველა რაიონული სამსახურის მენეჯერს დაევალოს :
1.1. ყოველდღიურად განახორციელოს მის ფილიალში მყოფი ყველა თანამშრომლის თერმოსკრინინგი.
1.2. მაღალი ტემპერატურის (37 და ზევით) გამოვლენის შემთხვევაში, არ დაუშვას თანამშრომლის ფილიალში დარჩენა და მიუთითოს, რომ მიმართოს სამედიცინო დაწესებულებას.
1.3. აღნიშნულის თაობაზე მოახდინოს ცენტრის ადმინისტრაციის ინფორმირება წერილობითი ფორმით.
2. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს მის გაუქმებამდე.
3. რაიონული სამსახურის მენეჯერის მიერ წინამდებარე ბრძანებით დაკისრებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, ცენტრი უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომა.
4. ბრძანება გაცნობილ იქნას ცენტრის თანამშრომლებისთვის.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (თბილისი, დავით აღმაშენებლი ხეივანი მე-12 კილომეტრი, N6), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

დირექტორი

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ავთანდილ თალაკვაძე